ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ-12/13353144-16 27 02 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ხოშარაულის ქ. №25-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, კორპუს №2) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №03/906 20.08.2007წ.
მშენებლობის სანებართვო მოწმობა – №6/774-1 20.08.2007წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ხოშარაულის ქ. №25-ში (საკ.კოდი №01.13.05.005.034) მდებარე შენობა-ნაგებობის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-6“ ფასადი: სარდაფის სართულზე -2.80 ნიშნულზე, „1-2“ და „5-6“ მონაკვეთებში ფრამუგები გაერთიანებულია, რითაც გაზრდილია მათი გაბარიტები და შემცირებულია რაოდენობა. ±0.00 ნიშნულზე „2-5“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის გარეთ გაზრდილია ბაქნის სიგრძე 1 მ-ით, ბაქნის ქვეშ დამატებით მოწყობილია სათავსი, სათავსში შესასვლელი დაბალი კარი, და ღიობები, ხოლო „2-5“ მონაკვეთში კიბეზე და ბაქანზე არ არის მოწყობილი მოაჯირი. -1.200, ±0.00 და +3.300 ნიშნულებზე „1-6“ მონაკვეთში ფასადი შესალესია, შესაღებია. მოსაპირკეთებელია, ღიობები ნაწილობრივ შესაცვლებია, ასევე შეცვლილია კარის და ფანჯრის ღიობების რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი. ±0.00 ნიშნულზე, კედელი გამოწეულია კედლის სიბრტყიდან. +3.300 ნიშნულის ქვევით, „3-4“ მონაკვეთში ბაქნის თავზე არ არის მოწყობილი კაპიტალური გადახურვა. „3-4“ მონაკვეთში, „3-3“ ღერძის მხარეს +3.300 ნიშნულის ზევით სადარბაზოს ღიობები შესავსებია, ხოლო „4-4“ ღერძის მხარეს ცხაურის ნაცვლად ღიობები შევსებულია ვისოსით. ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. +6.00 ნიშნულზე „2-3 და „4-5“ მონაკვეთებში კონსოლური ფილის ქვეშ არ არის მოწყობილი რიგელები. +6.00 ნიშნულზე „4-6“ მონაკვეთში და +16.500 ნიშნულზე „1-3“ მონაკვეთში ღიობები შეუვსებელია. ფასადზე ფანჯრების ქვეშ არ არის მოწყობილი კარნიზები. +9.300 და +12.600 ნიშნულებზე „5-6“ მონაკვეთში შეცვლილია აივნის ლითონის მოაჯირის ნახატი. +10.900 ნიშნულზე აივნის მოაჯირზე დამატებით მოწყობილია სატელიტური თეფში. +6.600, +16.500 და +23.100 ნიშნულებზე „4-6“ მონაკვეთში აივნებზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირები. +19.80 ნიშნულზე, „4-6“ მონაკვეთში აივანზე დამატებით მოწყობილია სატელიტური თეფში და გამათბობლის ქვაბი. +26.40 ნიშნულზე, „3-4“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სადარბაზოს განათების ღიობები. ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟის და ფანჯრის ნახატები. „1-3“ მონაკვეთში +6.600, +9.900 და +19.800 ნიშნულებზე აივნებზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბები, ხოლო +9.900 ნიშნულზე „1-2“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სატელიტური თეფში. „1-3“ მონაკვეთში ზოგიერთ აივანზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი, ხოლო +9.900 და +19.800 ნიშნულებზე შეცვლილია აივნის ლითონის მოაჯირის ნახატი. „2-3“ მონაკვეთში „2-2“ ღერძთან +6.600 ნიშნულიდან ზევით შემცირებულია ვიტრაჟის და ფანჯრის ღიობების გაბარიტები, ხოლო „4-5“ მონაკვეთში „5-5“ ღერძთან შემცირებულია კარის და ფანჯრის გაბარიტები. -1.200, ±0.00, +3.300, +6.600 ნიშნულებზე ფასადი ნაწილობრივ შესალესი და შესაღებია.

„6-1“ ფასადი: -2.80 და ±0.00 ნიშნულებზე შეცვლილია ფრამუგის და ფანჯრების რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი, ასევე -2.80 ნიშნულზე ფრამუგებზე დამატებულია გისოსები, ხოლო ±0.00 ნიშნულზე ნაწილი ღიობების შესავსებია. +3.30 ნიშნულზე „6-4“ მონაკვეთში აივნებზე დამატებით მოწყობილია გისოსები. ფასადზე ზოგიერთი

ფენაზე შემცირებულია შუაკედლისების სისქე. +9.90 ნიშნულზე „6-5“ მონაკვეთში აივანი შევსებულია, რითაც აივნის ფართის ხარჯზე გაზრდილია საცხოვრებელი ფართი. +6.60 ნიშნულზე, „5-4“ მონაკვეთში აივანი შეღებილია განსხვავებულ ფერში. აივნებზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბები და კარადები. ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების და ფანჯრის ნახატები. ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. +6.60 ნიშნულზე „4-3“ მონაკვეთში ვიტრაჟებს შორის შუაკედლისი შესალესი და შესაღებია. აივნებზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი. ფასადზე ფაუქმებულია კარნიზები. +19.80 ნიშნულზე, „5-4“ მონაკვეთში შეცვლილია მეტალოპლასტმასის ფანჯრის ფერი. ფასადი შესაღებია.

შენობაში „3-4“ მონაკვეთში „ბ-ა“ ღერძებს შორის კიბის უჯრედში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. -2.80 ნიშნულზე „2-1“ მონაკვეთში „გ-გ“ ღერძზე პროექტით გათვალისწინებულ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი და მოწყობილია „დ-დ“ ღერძზე, ასევე ასაწევი კარის ნაცვლად მოწყობილია სლაიდური ტიპის კარი და გაზრდილია მისი გაბარიტები. „დ-დ“ ღერძის გარეთ შეცვლილია საყრდენი კედლის კონფიგურაცია და გაბარიტები. „6-6“ ღერძზე -2.80 ნიშნულზე შეცვლილია კოლონების ფორმა და გაზრდილია მათი გაბარიტები. შენობაში გაზრდილია ზოგიერთი კოლონის კვეთი. „4-6“ მონაკვეთში „ა-ბ“ ღერძებს შორის 6მ² ფართზე და 0.6 მ. სიმაღლეზე დამატებით შექმნილია დონე. ±0.00 ნიშნულზე „1-1“ ღერძზე „გ-ბ“ მონაკვეთში კედელი არ არის მოწყობილი. „6-6“ ღერძის გარეთ „ა-დ“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულიდან ზევით შენობის მთელ სიმაღლეზე ფილა გადადის კონსოლურად 0.4 მ-ით, ასევე „6-6“ ღერძზე პროექტით გათვალისწინებულ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და მოწყობილია კონსოლურ ფილაზე, რითაც გაზრდილია შენობის ფართი. +6.600 ნიშნულიდან ზევით „2-3“ და „4-5“ მონაკვეთებში გაზრდილია კონსოლის გაბარიტები. +9.900, +13.200 და 16.500 ნიშნულებზე „1-2“ და „5-6“ მონაკვეთებში გაზრდილია აივნების გაბარიტები. +24.60 ნიშნულზე, „3-4“ მონაკვეთში გაზრდილია კიბის უჯრედის თავზე გადახურვა სიმაღლეში 0.3 მ-ით. +26.40 ნიშნულზე გაზრდილია შენობის სიმაღლე კვეში 2 მ-ით სხვენის სართული გადაკეთებულია მანსარდის სართულად შეცვლილია სახურავის ქანობები და კონფიგურაცია. სახურავზე „1-1“ და „6-6“ ღერძებზე გაუქმებულია პარაპეტი და დამატებით მოწყობილია სამერცხლეები. „1-6“ ფასადის მხარეს +24.60 ნიშნულზე „1-2“ და „5-6“ მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია ორი აივანი, ხოლო „6-1“ ფასადის მხრიდან ამავე ნიშნულზე „6-1“ მონაკვეთში დამატებით შექმნილია ტერასები. შენობის ფასადებზე შეცვლილია კარ-ფანჯრის ღიობების რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი.

რაზედაც ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. „თბილისის არქიტექტურის სამსახური“-ს მიერ არ იქნა გაცემული დადებითი დასკვნა (დასკვნის №1137490 25.02.2014წ. განაცხადის ნომერი: AR1198075).

ზ.ა.კ. VI-ე თავის. 83-ე. მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 103-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოქ. შ.პ.ს. „ბაბუ“-ს ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ხოშარაულის ქ. №25-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, კორპუს №2) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/13353144-16 19.12.2013წ. განცხადება
№წ-12/13353144-16 15.01.2014წ. ბრძანება

უფროსის მოადგილე გ. შუკრიაშვილი